

გურანი

ძღვანად ჩემს მაროს.

იმ ჩემს სიყრმის გაზაფხულზე
ჟუცხო სევდა მაწვა გულზე..
მას ვერ ვცნობდი,
მხოლოდ ვგრძობდი.

ვერ გამეგო, ჩემად ცრემლებზე ვლკრიდი?..

ვისი მქონდა კრძალვა-რიდი!

ნუთუ ვინმე შემეყვარდა, ვინცო ჩემზე დიდი? — —

ბაღში მარტოდ გავივლ

გასართობად ჩამოცვივინოს ყუს, დამკნარს ფოთლებს ვსთვლიდი.

და იმ ფოთლებს ჩემს დრო-მოს ნააზრს, ნაფიქრს ვამსგავსებდი,
რომლით ერთ დროს ჩემს მიჯნურს სიხარულით აღვაგვებდი!

მოგონება წარმიღებდა,

სულ სხვა კარებს შემიღებდა

თვალთ ჩემს სულს ჩავსწვდი,—

შეგკრთებოდი:

მუდამ ჩემ წინ ვილაც იჯდა

ბედისწერის ფურცელს სჭრი

ჩონჩხა-ხელით მწარედ მსჯი

და ვუამენდი..

და ვუსმენდი:

ცივს განაჩენს მომისჯიდა!

ის უკმეხი, გულის მტეხი, რა შავად დანატეხი

კრელს თვალს თვალში გამდა.

ვიყავ მარტოდ... წვიმა სცა

ქარი ტოტებს დაბლა ჰხრი

ყვითელ ფოთლებს მოაცლ

და გულმკერდზე მომაყრი

და იმ ფოთლებს ჩემს დრო-მოს ნააზრს, ნაფიქრს ვამსგავსებდი,
რომლით ერთ დროს ჩემს მიჯნურს სიხარულით აღვაგვებდი!

ბოლოს, ბოლოს იმ თვლენ ერკვეოდა ბლანდი ფიქრი.

—ბედო ჩემო! საყვარელოხარ, მითხარ საით მიჰქრი?

მტანჯე შენი გადამკიდე,

უჩვენე კი ჩემს ნავს კიდე

შეცდომილი დაფალ სოფლ

შავს ცხოვრების გზაზე ოფ!

ნუ გამწირავ, შემინახე, დრული თუ ვერ ვნახე,

... ..

ის ყვავილი ისევ ის

ველარას გზით შევითვისე

მაშინ ავდექე, თვით მოვს

მიტომც სიყრმის გაზაფხუ

შავი სევდა მაწვა გულზე.

სული ჩემი ძველებზე გულთან ერთად ცრემლებს ჰღვრიდა

და გულმკერდზე იმავ ბაღქარი ფოთლებს მომაყრიდა!

და იმ ფოთლებს ჩემს დრო-მოს ნააზრს, ნაფიქრს ვამსგავსებდი,
რომლით ერთ დროს ჩემს მიჯნურს სიხარულით აღვაგვებდი!

დღეს კი, ჩემო სულის ტო,

ზღაპარს აღარ უჩანს ბო

შენ ხარ ზღაპრის დედოფ,

გრძნობა წმინდა, ნათლისკალი,

მორცხვი, ნორჩი ქართლოლი,

რჩეული და პატარძალი,

ვის: ზენარი თან სდევს ძ!

თუმც იმ დღესაც წვიმა იდა,

ქარიც ფოთლებს მომაყრა,

მაგრამ შენკენ ბედს მოვდი!

დანიშნული შენთვის ვყ!

დათალხული, მგლოვიარ

მოველ. გნახე. შეგიყვარ

და შეგფიცეთ ორთავ მკვეთ, საყვარელო, სულის ტოლო!

ზღაპარს აღარ უჩანს ბო

აწ ჩემ სიყრმის გაზაფხუ

აღარ მაწევს სევდა გულ

ის ფოთლებიც ისევ მსდ

—ბედო ჩემო, მასთან მი

როგორც სულსა შენი ფიქრი..

ბედო, მომყე, მასთან მივქრი!


სანდრო შანშიაშვილი.



ემილ ვერჰარნი

სახელოვანი ბელგიელი მწერალი.

14 ლენინობისთვის რუანში ლექცია წაიკითხა და პარიზში ბრუნდებოდა. მატარებელში ასვლისას ფეხი დაუსხლტა, თვლებში ჩავარდა და გაისროსა. დაიბადა 21 მაისს 1855 წ. დაწერილი აქვს 40 ტომამდე სხვა და სხვა პოეტური ნაწარმოები.



ლოიდ ჯორჯი.

ინგლისის ახალი სამხედრო მინისტრი.

ის მოკალიო, ის!

(მოასმე)

ლაბაურული ტყის პატარა ველსა მწვანე ხავერდი წითლად შეედება: სიცოცხლით სავსე ჭაბუკა სასიკვდილოდ დაიჭრა.

— სულ უბრალო ვარ! — წამოიძახა სიმათლის შიდადგბელის ხმით და ძირს დაეცა.

ტყეში სიბრაღისაგან თავი ვერ შეიკავა და მძიმედ ამოიგზინა.

— მოვალ! — წამოილაპარაკა სინანულით შეკლულმა და ანთებულ თვალებში ჩაუქრინა.

შოშაყვდავმა შობირდაპირეს შენდობის ღიმილით გადახედა.

— ნუ, ნუ მიტყვი მაგრე! — შესთხოვა შეკლულმა.

— არა... არა!.. შენ არა! — უთხრა ნელის ხმით შოშაყვდავმა. — ის... ის!.. ადამიანის გულის ქია!.. ჩაგიძვრა, გულიდან ნდობა ამოგღრნა... წაგვიდა!.. მოკალიო! მოკალიო! გულიდან ამოიგდვ და შორს გადაიანარცხე!..

შოშაყვდავმა შობინდული თხალი ტყის ვადავლო. შეკლულმა უნებლიედ თავის მსხვერპლის თვალს თვალი გაადევნა. ტყეში ადამიანის უცნაური სახება დაინახა.

— ის მოკალიო, ის! — წამოიძახა უკანასკნელად შოშაყვდავმა და სული გაწვავდა.

ტყე ახმაურდა.

— ის მოკალიო, ის! — შოისმა ყოველ კუთხიდან.

— ხეებიც კი იმას შეუბნებინ, ის მოკალიო. — წამოიჩურჩულა შეკლულმა.

— ვინ არის ისა?.. ვინ არის, გული რომ ამოგღრნა?.. ვინა ხარ? არ შეტყვი? შენა ხარ? — შეეკითხა ზედიზედ უცნაურ სახებას, ტყეში რომ დაინახა და თან თვითონვე დასძინა: — შენა ხარ ისა, შენა! შენა!

ადამიანის უცნაურმა სახებამ პასუხად მხოლოდ გაღიზიანება და ხეების ჯარი ააგრიოლა.

— ის მოკალიო, ის! — გაუმეორდა შეკლულს ყურში თავისი მსხვერპლის სიტყვები.

— ის მოკალიო, ის! — გაიმეორა უნებლიეთ თვითონაც.

მოკლულს დაატყვრდა და ტანში გააჭრლოა: უსულო გვაშს თვალებში ღია დარჩნოდა.

— ის მოკალიო, ის! — ამზობდნენ დაუხუჭავი თვალებით.

— ის მოკალიო!.. ის მოკალიო ისა!.. ის მოკალიო!.. — გაიმეორა რამდენჯერმე შეკლულმა და ანაპერწყლულ თვალებში ტყეს მიშოავლო.

ყველგან ადამიანის უცნაური სახება ეხატებოდა.

— შენა ხარ, შენა, ის! — დაიძახა გაგულსებულმა და ხმაღ გაწვდილი ტყვისაკენ გაეჭინა.

ბასრმა იარაღმა უშველებელ ხის ტანზე მოიღო ჩაკუნი. შეკლული შეჩერდა და გაოცებულმა ცქერა დაიწყო. თვალწინ სრულიად უცნებელი უცნაური სახება ედგა და ეღრბებოდა.

ხმალი ხელშეორედ შემოიქნია. ადამიანის უცნაური სახება შეინძრა და შეკლულის გარშემო სიარული დაიწყო. ჰაერი საზარელმა ხითხითა მოიცვა. შეკლული გაათორდა.

— ის მოკალიო, ის! — დაიჭყილა განწირულებით და ჰაერში ხმალი ამოძრავა.

ადამიანის უცნაური სახება წრეს უფლიდა, მკვლელი წრის შიგნით ციბრუტივითა ტრიალებდა. ხითხითი თანდათან იზრდებოდა და გულს ასივებდა. ტყეში ხმას იტაცებდა და შორს შიაქანებდა. ჰაერი წამდაუწყემ იზობოდა და მზუილი გაჰქონდა.

შეკლული დაოსდა. — შენა ხარ ისა, შენა! — დაიძახა მისუსტებული ხმით და უკანასკნელად, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ხმალი შემოიქნია.

თავი ველარ შეიმაგრა, წაბარბაცდა და მიწაზე პირქვე დაეცა. ქვეშ პირშალიმა შებრუნებული ხმალი მოჰყვა და ტანში შეეჭრა.

— შენში ვარ ის, შენში! — ჩასძახა ყურში ძირს დამხობილს ადამიანს უცნაურმა სახებამ ხითხითითა.

შეკლული უმწეოდ ეხეთქებოდა მიწას და ხელეის კრუნჩხავდა.

ხმალი უფრო ღრმად მიდიოდა ხორცში და სისხლის ნაკადულებს ფართო გზას უხსნიდა.

— შენში ვარ ისა, შენში! — ჩასძახა კიდევ უცნაურმა სახებამ მკვლელსა და ყულში საშინელი კლანჭები გაუყარა.

— ის მოკალიო, ის! — გაისმა უკანასკნელად ხრიალით წარმოთქმული სიტყვები და მიდამოს ყრუ სიჩუმე დაეპატრონა.

ინ — ბანი.

იყავი ჩუმაღ...

მინიატიურა.

ნუ ლაპარაკობ, ნუ... იყავი ჩუმაღ... სსსუუ... ნუ მეუბნები მიყვარხარო — იყავი ჩუმაღ... არ მინდა ეს აღსარება შე...

გაიხედე: რა შიზლაგია ყველაფერი ირგვლივ!.. შეხედე: როგორის სინაზით ცეკვავენ ღრუბლები! ქვეყნად არ არის კაცი — ვისაც ჩემზედ უფრო უყვარდეს ღრუბლები — და აი მე არ ვაწუხებ მათ აღსარებით! ისმინე! როგორის ჯადოსნური კილოთი უსტვენს ბუბლული? შეხედე რა შიზლაგია მზის სხივები, ხუტუტა ტყის ფოთლებში გაცხრილული... რა მტკნარად და მშვიდად მიღუღუნებს გიჟი რიონი. დასცხრი მშვენიერო... ნუ მეუბნები მიყვარხარო... იყავი ჩუმაღ... სსსუუ...

* *

გიყვარვარ? არა, მართლა გიყვარვარ? ჩემო მშვენიერო — იყავი ჩუმაღ! არ დამიშალო სასოებით აშენებულ ოცნების ქსელი... არ გამიცხადო ბედნიერი წუთების რეკა — იყავი ჩუმაღ და მღუშარდ ატეკვე სული... გამომეჭლავნების ცეცხლის სიტყვებით, თხრობის მუსიკით დადნებიან ნაზი სხივები შენი თრთოლვისა — და გაცივდება წყარო ჩემი აღფრთოვანების... შენს ცეცხლის გუბეს ამოაშრობს თქმის აკკორდები — და ჩემს ძიებას მოსწყინდება გზა უბურუსო... ნუ მეუბნები მშვენიერო — მიყვარხარო — იყავი ჩუმაღ — მღუშარდ მიკიე სიყვარულის წმინდა გუნდრუკი, ააგიზგიზე ჩირაღდნებათ ხულის სანთლები, ილოცე ჩემზედ, დამაჯადოვე და... ჩემო კარგო არ გამიმეღავნო მიყვარხარო — იყავი ჩუმაღ! იყავი ჩუმაღ... სსსუუ...

* *

არ გიყვარვარ? შენ არ გიყვარვარ? ჩუმაღ! ჩუმაღ! სსსუუ... იყავი ჩუმაღ — მშვენიერო! შენი სიტყვები გაჰბასრა...

ვენ ჩემი ოცნებით შექმნილს ციურ ლეგენდას და უიმედობის უფსკრულში ჩამისროლიან — ჩუმაღ... შენი სიტყვები განვიახლებენ ტანჯვა-ტკივილებს, მომცემენ ქვითინს, მომცემენ ცრემლებს — და ამიტომაც — ჩემო კარგო — ჩუმაღ! სსსუ!..

რას მერჩი ჩემო მშვენიერო? რა დაგიშავე? მე არას გიშლი! რა გენადვლება მე ვეტრფოდე შენს შავს ღრმა თვალებს, საღტეებში რომ ვერ დგებიან და დამწველი სინარჩარით რომ მიტყერიან? რა გენადვლება მე მზიზღავდეს შენი ხუტუტა კუპრის თმები, ტალღა-ტალღათ რომ დაგფენია ქანდაკ ბეჭებზე. რა გენადვლება — ჩემო კარგო — მე მათრობდეს შენი ნორჩი და ნერვიული, გვირიშტიანი ნაზი სიმღერა? შენი კბილების ელვამ მომფინოს შეუქი — რა გენადვლება? რა გენადვლება მე მახარებდეს შენი რხევა, ჩემო ოცნებაგ, ჩემო ლერწამო — რა გენადვლება? რა გენადვლება — მე ვფოქრობდე, რომ შენ გიყვარვარ — და ვიყო სავსე აღტაცებით და სიკეთით? რა გენადვლება?

არ გიყვარვარ? ჰო და — იყავი ჩუმაღ — ჩემო კარგო — იყავი ჩუმაღ! დე, მე ვცურავდე შეცდომებში — ნუ მომიშორებ — დეე ვსცდებოდე — ოლონდ ასე ბრწყინავდეს დილა სამშობლოში, ოლონდ ასე მედღურად ამოდიოდეს მზე, ასე — სიყვარულით და სიმღერით იყოს ქვეყანა სავსე, ასე ხალისით სჩქედდეს ოიონი! ახ, ღმერთო ჩემო — რა ტკბილია, რა ბედნიერებაა სიცოცხლე — მე მგონია, რომ შენ გიყვარვარ... და რა გენადვლება ჩემო სულის დგამ — მე ბედნიერი ვიყო? ნუ მეუბნები — ნუ! იყავი ჩუმაღ! დე მზიზღავ ზღაპრად იბრწყინონ ჩემი იმედის ნაზბა სხივებმა, სანამ ბრწყინავენ! იბრწყინოს ჩემმა აღფრთოვანებამ ამ გატაცებით და შენ კი — სსსუ! ნუ მეუბნები არ მიყვარხარო! — იყავი ჩუმაღ — ჩემო კარგო! სსსუ!..

თ. იანელი.

გუოგალთა პარიდან

მიუნხენი, ივნისის 2.

I

როგორც ჩემი წერილის თარიღიდან ჰხედავ, მეგობარო, უკვე დავტოვე შეიცარია, ციურიხი, პროფესორი აგნარაიუსი, ტბა, „წმინდა ცდის კრიტიკა“, ქალბატონი მიზი, საუნივერსიტეტო სკამი, ჩემი საყვარელი ოაზი ჰოტინგენის ქუჩაზე და დიასახლისი, რომელსაც შეუძლიან თავი შეიქმნის იმითი, თუ როგორ შეიძლება ფულეზი დასტყუოს და გაატყავოს თვისი მღმურთი.

ეხლა მივდივარ სამშობლო ქერ ქვეშ, სადაც აგერ ეს რვა წელია არ ვყოფილვარ.

ნუ გაგიკვირდება, მეგობარო, თუ შენს უკანასკნელს წერილებზე ვერ გიპასუხე. ბედნიერი ხარ, ძაო, შენ ჩემზე ადრე მოათავე გამოცდანი, ბერლინიდან გაჰქურცლვ. როგორც სჩანს, საგულსხმიერო საქმე ვერა გიპოვინა რა და წერილების წერისთვის მიგყვია ხელი, როგორც ამას სჩადიან ყველა ახლად „გამომცხვარი“ ფილოსოფიის დოქტორები. ეგ კარგი, მაგრამ ეს რაღაა, რომ ყუმბარების დასაშენად სწორედ ამომიღე ნიშანი? და ისიც იმ დროს, როდესაც ათას

ბრძენთა წიგნებში ვიყავი ჩემთვის... ლი. შენს შემდეგ აგერ... თვე მიდის, რაც ინდოეთისა თუ პალესტინის, საბერძნეთისა და რომის, გერმანიისა, ალბონისა და მრავალ სხვათა სიბრძნეს თაფლს ვწუწნიდი, რომ ღირსეულად შეგვედროდი ჩემს გამომცდელთ და სახელოვან პროფესორებს.

მაგრამ აი ამ კოშედიასაც მოელო ბოლო! პროფესორები განვანათლენ და მეც ფილოსოფიის დოქტორი გავხდი.

მაგრამ იცი რა, ხანდისხან თავში საშინელი აზრები მიტრიალებენ: ასე მგონია, ყველა ეს სისულელეა მეთქი.

მთელი დღე კარგს გუნებაზე ვარ, მსურს ვისულელო, რასაც არასოდეს არაჩვეულებარ. მხოლოდ საღამო-საღამოობით ვუკვირდები თავს, მევე მიკვირს ჩემი თავისა და უნებურად ვეკითხები: ეს კარგი, მაგრამ მაინც რა მახარებს? რატომ ვხტი ასე? ხომ ვიცოდი, გამოცდას სახელოვანად ჩავატარებდი, სწორედ ისე, როგორც მოხდა. ისიც ვიცი, რომ გამოცდის შემდეგ არც მეტი გავმხდარვარ და არც ნაკლები მხოლოდ იმიტომ, რომ სადარბაზო ბარათზე შემეძლიან ორი ასო ჩავამატებინო: „dr.“, ვითომც ფილოსოფიის დოქტორი მეთქი...

ვიცი, ბევრი ჩემს ადგილას ასეთს კითხვებს არ მიჰმართავდნენ, მაგრამ მეტი შეტად შეჩვეული ვარ ამ ფიქრებს და მიტომც ფრთები გვეცემა ჩემს გატაცებულს სიზიარულეს!

აი, თუნდა ეს წერილი! წერვა დავიწყე ისე, როგორც გიმნაზიელმა საზაფხულოდ დათხოვნის დღის წინ და... ჩვეულებრივი ოხვრით ვათავებ...

იცი რა, ხანდისხან კიდევ მშურს, რომ შენც ჩემსავით არ გადაგიტანა ამ კრიტიკამ, შეგეძლო გრძნობათა აყოლა და ძვირფას წუთებით სარგებლობა, თუმცა ზოგჯერ კიდევ მებრალები, ვინაიდან გხედავ, რომ შენ დაემზავსე ვაბერილს იალქანს, რომელიც ქარს იღებს და არხინად მაჰყვება მას ისე, რომ არც კი ჰკითხავს, საიდან მოჰქრის იგი, ან რა ძალით შიაქანებს შორს სივრცისაკენ.

მართალი გითხრა, შენი ხასიათისა არა გამეგება რა. შენ ხომ ებრაელი ხარ. ებრაელობა ეს ძველი და საუკუნოებათა გამოცდილების ბრძენი რასაა, რომელსაც დღემდე შერჩენია აზროვნებისა და კრიტიკის უნარი. შენ კი ასეთი ზერელე ადამიანი ხარ. ჩვენს წრეში, სადაც გონებისა და კრიტიკის ცეცხლი ანთია, შენ არა ერთხელ თავი მოგქონდა იმით, რომ ყველა ამისგან განთავისუფლებული ხარ. ჩვენ დაგცინოდით ამ გულწოფელ ახსარებაზე. ეხლა კი ვხედავ, რომ აქ, მართლაც, სასაცილო არა იყო რა.

ახ, როგორ მსურს გაუნათლებელი ვიყო, თუნდა ისე, როგორც ბავშვი, რომელსაც გამოცდაში გამარჯვება უყოფს და მზიარულად მიხტის, შოგათა ქერ ქვეშ მიეშურება.

ესა მე ხომ აგერ რამდენი წელია, რომ მშობლები არ მინახია!

ბუკი — დღეს გულახდილობამ გამიბრა, — ასე მგონია, ასეთი გუნება ღი არაჩვეულებრივია და როგორ საიდან გამოტყვრა იგი, არ გამეგება. შესაძლებელია აქ აღზრდის ბრალე იყოს, ან და ის, რომ ცხოვრებაში ბევრი რამ განვიცადე. გულში

ათასი სიმა აწყრილდა, რომელთა არსებობა მხოლოდ ეხლა ვიგრძენი, სწორედ ეხლა ვიგრძენი მათი აქტუალობის წყობის. შეიძლება ეს სიმა ბავშვობიდან გამოწყვა, შესაძლებელია უჩინრად ძარღვთა თამაშში სისხლთან ერთად მიმოსცურავდა.

სამ იცი, რომ ძველის ძველს ოჯახს ვეკუთვნი, რომლის ქარიშხალი-სებური ისტორია მშვიდ და უწყინარ ხალხთა ცხოვრებას არ შეადგენს. ბავშვობაც ასეთს ძველს, ხავსით მოკიდებულს კარმიდამოში გავატარე, სადაც ათასგვარს ზღაპარს ვისმენდი მამა-პაპათა შესახებ. მასსოვს, მათს სურათებზე რამდენჯერ შეუხერხებია ვარ მშობლებს, დიდდას და მათი თავგადასავალა ზღაპრული სახით უაზნით.

ეს სურათები, ხავსმოდებული კარმიდამოც აგვრ რვა წელია რაც არ მინახავს. მამა უკანასკნელ დროს წერილებით შაქრებდა, ჩქარა დაბრუნდით. მას ჰსურს სიცოცხლეშივე მიანდგროს ყოველისფერი, მამულ-დედული. შეც მივალ...

მივალ, მაგრამ ყველა ეს ჩემთვის სახარბიელს არ წარმოადგენს. რად მინდა მამულ-დედული? რაში გამოვიდგება? ვაცი, იმდენი ცოდნა მაქვს, რომ იმითაც კარგად შემიძლება ცხოვრება. მართალია, ჩემი მომავალი ცხოვრების გეგმა და პოტიფიკაციების მოხვეჭა ძალიან ფართო ფარგლებში მოვსახვევი, მაგრამ მშაშს, რომ გეგმა იგი თამაზად იქნება შესრულებული. თუ საჭირო იქნება, გაყვიდი მამულს. ვფიქრობ, ეს სულ ადვილი საქმე უნდა იყოს. ერთად ერთი ის მაწუხებს, რომ შეიძლება მამა არ დათანხმდეს.

ეს ასედაც უნდა იყოს, ვინაიდან შეეხლა ამ ძველს კარმიდამოსთან აღარა მართებს რა. ბავშვობა დავივიწყე, იქაური მოგონებანი არ შეწყვეიან, ყოველ შემთხვევაში, მათი არა მგსმის რა. ჩემი აღზრდაც სულ სხვა რამ იყო, სულ სხვა ცხოვრება გავატარე, სხვა შეხედულებანი და სხვა რწმენა მაფრთოვანებს.

ასე მგონია, მშობელთა ჭერ ქვეშ სრულიად უცხო აღამიანი შევდგავყვას. მიუხედავად ამისა ხანდახან თითქოს რაღაცა შევივა იქითკენ...

იქნება ეს უბრალო ცნობისმოყვარეობა იყოს, ან და ბავშვობის დროინდელი მოგონებანი...

მაგრამ გავფრთხ. აგვრ, მსახური მოდის და შეუბნება, დროა, მატარებელში არ გავასწროთო.

მამ ასე, გამარჯვებით, მალე წერილს მშობელთა ჭერქვეშადან მოგწერ. მათინ შეგატყობინებ რამდენხანს დაგრჩები იქ. მისამართსაც მათინ შეგატყობინებ.

შენი თადე.
გ. მშაბაძე.

გულნიკალი

(გაგრძელება)

მეორე სურათი.

(სცენა წარმოადგენს ყაფლან-ფაშის სამმართველოს. ყაფლან-ფაშის მარჯვნივ და მარცხნივ თავს ჯალათები ადგიან და ირგვლივ მღიფნებენ სხედან: ყადო ჰილმი-ეფენდი, — ჰინგლბეგი, შემსილდინ-ბეგი, ბეჰრამ-ბეგი, ზულფიყარ-ალა, ყარაველი, ჯარისკაცნი, მთხოვნელები და შემდეგ ერთი ქალი ორი ბავშვით შემოვა)

პირველი გამოსვლა.

ყაფლან-ფაშა. — ამათ რაღა უნდათ? (ანიშნებს ქალსა და ბავშვებზე).



მეორე სურათების ბრძოლა.

ზულფიყარ-ალა. — თავის ქმარის თაობაზე სათხოვარი აქვს, ბატონო!

ყაფლან-ფაშა. — ხელე სამსაჯულოში გაგზავნეთ, ბატონი ყადი ჰილმი-ეფენდი მათს საქმეს გასინჯავს და შესაფერად მოეჭყვავა. (მეორისთვის) ის რად არის ბორკილებში?

ყარა-ველი. — თქვენს შონა ჯალათ ტაიარისთვის ცილი დაუწამებია; მატყუარა არსო.

ყაფლან-ფაშა. — (ზულფიყარ-ალას) ტაიარას გადაეცი, ენა ძირში მოჭკვეთოს, და ამით ასწავლოს, თუ რას ნიშნავს ცილის წამება.

ბეჰრამ-ბეგი. — შეიწყალეთ, ბატონო! შეფის სადღეგრძელოდ, შეშიბრალდეთ...

ყაფლან-ფაშა. — წაართვით ვე ძაღლი... შეხედვ ერთი! მშართველს როგორ ეჯობრება, და წინააღმდეგობას უწევს?!

ჰილმი-ეფენდი. — შეიწყალეთ, ბატონო!

ყაფლან-ფაშა. — (ქალზე ანიშნებს) აი, სამსაჯულოში უნდა წავიდეს. საქმე თქვენ გადმოგეცემათ-მეტქი, არ გესმოდა? აქაური მართვა-გამგეობა კი შე შეკითხება... (სხვებზე) ეგ სულელები რაღას ითხოვენ?

ზულფიყარ-ალა. — თხოვნა ბქონათ ბატონის მისართვევი, და წყალობას თხოულობენ.

ყაფლან-ფაშა. — აწ კი ეყოფათ, ნაშეტნავად თავი აიგდეს, აჯანყება იწყეს. ტაიარს უთხარ, ყველა ესენი ქუჩებში ჩამოახრჩონ, — ქალაქს, რამდენიმე დღეა, დღესასწაული არ უნახავს...

სოფელი-მონუცი. — ყველამ სიკვდილი გადავწყვიტეთ, წამება ჩვენი ავირჩიეთ და აქ ესე მოვედით, თორემ შენგან წყალობას ვინ უნდა მოელოდეს! მადლობა ღმერთს, რომ სურვილი ჩვენი აღსრულდა, ხვალე განკითხვის დღეს, ღვთის წინაშე გავსწორდებით.

ჰილმი-ეფენდი. — ბატონო, ამით სასიკვდილოდ დასასჯელად რა დანაშაულობა შეუძღვისთ. ნუ თუ სამოწყალო კარები სამუდამოდ დახურულია?

ყაფლან-ფაშა. — აკი გითხარით, აქაური მართვა-გამგეობა შე შეკითხება-მეტქი! რაც არ შეგეხებათ, ნუ გა-

ერევით! — (ორი ბავშვით ერთი ქალი შემოვა) რა გნებავს ქალო?

ქალი. — თქვენი აზრი თავისთვის ეს ორი ბავშვი შეიბრალეთ! ობლებად შეიქმნენ, რაც მებადა ყველა გავყიდე, ყველა გათავდა. ქვებს ბალიშებად და ნაცარს ქვეშაგებად ვუგებ. გუშინდელს აქეთ მშვიერ-მწყურვალე დავდივართ. ქმარი ჩემი რვა თვეა საპყრობილეშია. მოიღეთ მოწყალება, გაანთავისუფლეთ და ისევ თქვენ მონა-მორჩილად დარჩეს.

ყაფლან-ფაშა. — (ზულფიყარ-ალას) რისთვის შეუპყრიათ?

ზულფიყარ-ალა. — (ქალს) ვინაა შენი ქმარი?

ქალი. — თერზი მუსტაფა.

ზულფიყარ-ალა. — არ ვიცი, ბატონო.

ყარა-ველი. — ჩხუბის თავი გახლავს, მეამბოხეა, ბატონო. არ გახსოვს? — საყავეში პურს ცომს აცხოებენო, ეთქვა და დავატუსალეთ. და...

ყაფლან-ფაშა. — მერე ის წყეული დღემდე ცოცხალია?.. რვა თვეა ცოცხლობს ის?! ეხლავე საპყრობილის წინ თავი მოაკვეთინეთ. ეს დედა-კაციც იქავე თან მიაყოლეთ. და ჩამოახრჩეთ! აქ იმითმ მოსულა, რომ მეამბოხები გააპაროს, არა? (ბავშვებზე) ეს გველის წიწილები-მოსრისეთ! რომ გაიხარდონ, ესენიც თავიანთ მამებს დაემსგავსებიან. (ქალი და ბავშვები ტირილ-წივილს მოჰყვებიან. ჯარისკაცები თრევით გაიყვანენ).

ჰილმი-ეფენდი. — დღეს თქვენ სიკვდილი პირზე გაკერიათ! — რაღაცას თქვენი ჰქვა შეუპყრია. განა პური ცომი ცხვებაო — ამ სიტყვისთვის კაცის თავი მოიკვეთება? განა თავისი ქმარისა საპყრობილიდან განთავისუფლებსა-თვის სათხოვნელად მოსული დედა-კაცი ჩამოიხრჩობა? განა ექვსი წლის უმანკო ბავშვი ასე უღრმთოდ გაიმეტება? აწ კი ღმერთმა გვიშველო! ამ ქვეყანაში რაც აღამიანი არის, ყველა უნდა დახოცოთ? შარიათის სახელით ბრძანებას ვიძლევი. ეხლა შენ მიერ სასიკვდილოდ გაგზავნილი ჩაგრულები უნდა გაანთავისუფლო. ეხლავე!

ყაფლან-ფაშა. — აღამიანო, სიკვდილი ხომ არა გწყურია?! აკი გითხარ,

რაც თქვენ არ შეგეხებათ, ისეთ საქმეში ნუ გაერევით-მეტქი!

ჰილმი-ეფენდი. — (ზულფიყარ-ალას) წყეულო, ღვთის მტერო! მეფის მოლაღატე! ბრძევი მე ვარ, რომ შენთან მოვდივარ და ჩემის თვალის წინ — ამდენს ღვთის ბნის აობრებას უყურებ. იყოს წყეული, შეჩვენებული შენი მიჯლისიც, შენი სასახლეც, შენი შთავრობაცა და შენცა!.. უფალო, გამჩენო! ეს ბოროტი და ცბიერი შენის სამართლიანის მახვილისათვის მიძინდვია. შერიეთის მადლისთვის, ამდენ უცოდვილოთა სისხლს ნუ შეარჩენ. (გ.ვა).

ყაფლან-ფაშა. — შენ წვერს მე შეგლებავ სისხლში. (მის გვერდით მჯდომ ადგილობრივ ბეგებს) თქვენ რას გაჩეოებულხართ? საკუთარი ჩემი საქმეც თქვენის რჩევა-დარიგებით უნდა ვაწარმოო? მაგ თქვენი შექმნილ წარბების, ჩამოშვებული ცხვირ პირის და დამუნჯებულის ენის საჩვენებლად მოსულხართ? დაიკარგეთ. ჯანდაბას აქედან... ჩემს თავს ვფიცავ ყველას შეგკამთ, ყველას მოგასობთ. (ბეგები ნელ-ნელა წასვლას დაიწყებენ).

ზინელ-ბეგი. — (ფაშა რა გაიგონებს ისევ შემსილდინ-ბეგს) დღეს სულერთიანად გადირია.

შემსილდინ-ბეგი. — როდის ყოფილა ჰქვაზე, რომ დღეს არ იყოს გ.ევი? (გავლენ).

მეორე გამოსვლა.

ყაფლან-ფაშა. — ოჰ! გადირიაო, გონებაში ჯავრი გროვდება. გროვდება და ფანჯრებ ჩაკეტილ ოთახში დაბუგებულ ცეცხლსავით უნდა იფეთქოს. ამის ჩასაქრობად სისხლია საჭირო. სისხლი... სისხლი... (დაუძახებს) აქ მოდი!.. არვინა მანდ? (შემოვა ჯარისკაცი) დღეს კარზე სათხოვნელად ვინც მოვიდეს, უთხარით, ყველა დახოცონ. ნურც შეელაპარაკებიან, ნურც დალაპარაკებენ. ცოცხალი ერთიც არ გაუშვან!

ოჰ! დედა ჩემი ჩემის სიკვდილის გარდა სხვას არას ფაქრობს. და მე სული მისი მაინც ვერ დამისაჯავს, რადგან დღეს ხელში მასზე სახმარი ძლიერი იარაღი არ მომეპოვება! ისმეთი ყოველგვარ უზრდელობას ჩემდამი იჩენს. და ენა მისი მაინც ვერ ამომირთმევია; გადია მე მატყუებს, მსახარად მიგდებს, მაგრამ მაინც ვერაფერი მიქნია, რადგან ისმეთი იმან უნდა დააჯეროს!

ყადი ჰილმი-ეფენდი პირდაპირ მკიცხავს, მაგრამ მაინც კლანჭი ვერ გამომიდვია და ყელი მისი სულ ერთიანად ვერ დამიგლეჯია. რომ დაუფლიტო, ნახევარი ქალაქი უნდა ფესზე დადგეს „მოწინააღმდეგე შეიქმნაო“ და მთლად თავს უნდა დამესიონ. ბეგები შეურაცყოფას მაყენებენ. თავი მათი ფეხებ ქვეშ ვერ გამითელია და სულ ერთიანად ვერ მოჰმირსივია, რადგან ყოველ შათგანს ოთხას-ხუთასი თავდამდები მოეპოვება. მუხთარი ჩემ შესართავ ქალიშვილთან შეიპყრეს.

შხამი ჩემი სულ იმის გულში უნდა ჩაიქცეს.

შემდეგ-ბეგ აბაშიძე.

(შემდეგი იქნება).


ღრონი მეზობენ

ახლო წარსულიდან



მოსწავლენი დადიონდენ, ვით გამხდარი კინკები.

აწმყო ღროიდან.



სტუდენტები.

სამხედრო რომ გარდაიცვეს, უცბად გახდნენ „შტრინკები“.



გროშა გროშზე დაადებდნენ და დღიურად თავს ირჩენდნენ.



ვაჭრის ოჯახი.

ოქრო-ვერცხლით შეიმოსნენ, თვალმარგალიტა მოიფენდნენ.



ერთმანეთსა შესჩიოდნენ: ლუკმისათვის სად ერბინათ.




სპეკულიანტები

იქ გაჰკრეს და აქ გამოჰკრეს, სასახლენი აგეს ბინათ.




რაც ებადათ, მით იყიდეს, პური თითქოს კიდევ ცხვება!



მცხოვრებნი

და გაიფცქენენ ბოლოს ისე, დახატვაც კი გვერცხვინება.

ადმინისტრაციამ შოფერების თავხედობას ყურადღება მიაქცია და დაადგინა, ქუჩებში სწრაფი მიმოსვლა აიკრძალოს და დამნაშავე დაისაჯოს. ქრონიკა.



წაქცეული. ჰეი, ჰეი! მძიმედ, მძიმედ, თორემ დაგაჯარიმებენ!

ნებადართულია სამხედრო ცენზორისაგან.



ა. ხატისფი (ქალაქის ქალმასწავლებელთ, რომელნიც ჯაბაგორის მომატებას თხოულობდნენ.) გეფიცებით მე ეს მსურდა, არა მშურდა. (თანაგრძნობით) მაგრამ სულ სხვა სიქეის და ეს დაასკენეს. კადიკ მოგიბღვენს!

ნეიტრალ სახელმწიფოთა მდგომარეობა და ბავშვის გახატირი.



ნეიტრალი სახელმწიფო: ვიგერიებ, მევე მხედება, თუ მივიზნობ, გადამხედება რა ტანჯვა არ გადაიტანე რაცხან წრეში მოვეტანე!



— რა გატირებს, ჩემო პატარავ? — ვანომ მცემა, რადგან გიგოს მივემხარ, ჩემს ამხანაგს შევიჩოლე, იმანაც მცემა, რადგან სხვის საქმეში გავერიე, მამამ რომ გაიგო, იმანაც მცემა, რადგან ამხანაგები მოვიმღურე. ესლა პაპაც გაიგებს და ისიც მცემს, რადგან მის დაუკითხავად გარედ გაველ.

რუსეთის მალალ წრეებში.



— ეს კი იყო ხელიდგან ჯიბგირი გამისხლტა. — ჯიბგირი? სად? — მაგრამ მითხრა, ჩემს მალაზიაში სვინდისიანად ვვაქრობთ და ცოტა ფრთხილად ბრძანდებოდეთო!



ქალი. ჩვენ თუ ხელახლად ამ რესტორანში მოველით, აუცილებლად სხვა კაბინეტი უნდა მოსძებნო... ვაჟი. (გონება გაფანტული) მე კი მოვსძებნი, თუ ერთ კვირას მაინც გამაჩერეს! მაგრამ რა დროს პოლიტიკაა.. იო იქაც მომბეზრდა.

რედაქტორ-გამომცემელი ხანდრო შანშიაშვილი.